სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ რუსუდან იმედაიშვილს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

წარმოგიდგენთ მონიტორინგის ანგარიშს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სატელევიზიო და რადიო ეთერში არსებული პროდუქტების განსაზღვრულ პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობაზე. მათ შორის ახალი ამბების გამოშვების პროგრამულ პრიორიტეტებთან და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

ასევე გაუწყებთ, რომ ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის საბჭოზე რომელიც შედგა **24.11. 2016.წ.** იყო მსჯელობა შემდეგ საკითხებზე;

1. 18.11. 2016 წლის საინფორმაციო გადაცემის 12:00 ხარვეზებით გასვლის შეფასებაზე.
2. ვებ გვერდის მუშაობის შესახებ.
3. საკუთარი პროდუქციის სიმცირე საეთერო ბადეში და განმეორებები.
   საბჭოს ჯგუფმა იმსჯელა ამ და სხვადასხვა საკითხებზე, რომელიც დათარიღებულია №6 ოქმით.

მინდა დავიწყო ჩემი მოხსენება სატელევიზიო ეთერში არსებული პროდუქტების განსაზღვრულ (დადგენილ) პროგრამულ პრიორიტეტებთან და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

გთავაზობთ ამონარიდს, სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსის- ინგა გოგოლიშვილის მოხსენებიდან - „მოგახსენებთ, რომ საეთერო ბადეში მექანიკური პროდუქციის ნაკლებობის გამო მაუწყებელს ექმნება პრობლემები ერთის მხრივ ბადის შევსების და ბადის რეპრეზენტაციულობის (ბევრჯერადი განმეორება აღიქმება მაუწყებლობის ნაკლად და ნეგატიურად აისახება ყურებადობის მაჩვენებლებზე) , ხოლო მეორეს მხრივ საავტორო უფლებების დაცვის კუთხით, რამდენადაც შეძენილი პროდუქციის განმეორებით განთავსება გვიხდება რამდენჯერმე, რაც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის გაუგებრობების წარმოშობის წინაპირობას.

2016 წელს ზემოაღნიშნული პროდუქციის შესაძენად გამოცხადებული ტენდერით , მაუწყებლის ფინანსური რესურსების სიმწირიდან გამომდინარე შეძენილი იყო მხოლოდ 250 სააათის ხანგრძლივობის პროდუქცია ღირებულებით 335 000 ლარი. მათ შორის შეძენილი იქნა მხოლოდ 53 ერთეული მხატვრული ფილმი რაც ვერაფრით ვერ უზრუნველყოფს არათუ საეთერო ბადის შევსებას, არამედ მის გამართულ, უხარვეზო ფუნქციონირებას."

მინდა დავამატო ამ განცხადებას ის, რომ მარეგულირებელი კომისიიდან რამდენჯერმე იყო მოსული წერილი - ჩვენი მხრიდან ლიცენზიების დარღვევაზე. მექანიკური პროდუქციის საეთერო ბადეში განთავსების მიმართულებით ნათელია, რომ პროგრამული პრიორიტეტის ეს ნაწილი ივსებოდა მხოლოდ დარღვევების ხარჯზე.

ინგა გოგოლიშვილის მოხსენებიდან - 2017 წ[illegible] საეთერო ბადის [illegible]
გათვალისწინებით საჭიროა მინიმუმ 4 თვიანი პ[illegible]

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი
აჭარის ტელევიზია და რადიო
შემოსული №02-19/2013

დარჩენილ პერიოდში გამნეორებითი ჩვენების უფლებით შეძენილი უნდა იქნას სულ ცოტა 766 საათის უცხოური ფილმები და სერიალები, 32 ქართული ფილმი და 38 საათი მუსიკალური პროდუქცია. წინა წლის საბაზრო ფასების მიხედვით, 1 საათი მექანიკური პროდუქციის ღირებულებაა 960 ლარი ქართული გახმოვანებით. აქედან გამომდინარე, 4 თვის ბადის შესავსებად, რამაც შემდგომ უნდა უზრუნველყოს დამატებით პერიოდზე განმეორებითი ჩვენებით ეთერის შევსება, საჭიროა 751 360 ლარის ღირებულების მასალა უცხოური მუსიკალური პროდუქციის გარეშე. მინდა გაუწყოთ,რომ 13.12 2016 წელს ჩატარებული მექანიკური პროდუქციის შესაძენ ტენდერში მონაწილეობა მიიღო „თი-ბი-სი თივი ინტერტაიმენტ ჰოლდინგმა" და შემოგვთავაზა 355 000 ლარის ღირებულების პროდუქცია. ეს 2017 წლისათვის გათვლილი საჭიროების ნახევარია და წარმოადგენს მხოლოდ 3 თვის საეთერო პროდუქციას. კომპანია უფლებას გვაძლევს ამ პროდუქციის 2-ჯერ გამეორებისა, მაგრამ მაინც არაა საკმარისი. წარმოიქმნება ისევ ის პრობლემები,რომელიც გვქონდა 2016 წელს, თუ არ მოხდება პროგრამული პრიორიტეტებით გათვლილი მიმართულების შევსება საკუთარი პროდუქციით. (ტექ.დოკუმენტაცია ახლავს)

16.12.2016

LTD"TBCTV", Georgia, Tbilisi 0171, M.Kostava str. №68 Tel/Fax: 240 95 40; 240 95 09. Email: info@tbctv.ge. www.tbctv.ge

ფასების ცხრილი

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა (საათი)	ერთეულის ფასი დღგ-ს გარეშე	საერთო ღირებულება (დღგ-ს გარეშე)	გახმოვანებული პროდუქციის მიწოდების ადგილი
1	მინისერიალი (გახმოვანებით)	150	1180.00	177000.00	ქ.ბათუმი, მ. აბაშიძის გამზ. 41
2	მხატრული ფილმი(გახმოვანებით)	105	1090.00	114450.00	
3	დოკუმენტური ფილმი (გახმოვანებით)	30	918.33	27550.00	
4	მულტსერიალი (გახმოვანებით)	15	900.00	13500.00	
5	მხატვრული კლასიკური ფილმი (60 ფილმი ლიცენზიის გარეშე) მხოლოდ გახმოვანება	90	250.00	22500.00	
	სულ	390		355000	

ზაზა შენგელია

გენერალური დირექტორი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **102016419262**
განცხადების რეგისტრაციის დრო: **08** დეკ **2016 13:28**
ცნობის მომზადების დრო: **08** დეკ **2016 14:18**

ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ

საგანზე: მთელი ქონება , რომლის მართლზომიერ მფლობელს/მესაკუთრეს (განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად) წარმოადგენს შპს თიბისი თივი ინთერთეინმენთ ჰოლდინგი (პირადი #/საიდენტ. კოდი: **404859881,** მისამართი : საქართველო , ქ. თბილისის ვაკე–საბურთალოს რაიონში , კოსტავას ქ,. **№68)** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეესტრის მონაცემებით საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის.

LTD"TBCTV", Georgia, Tbilisi 0171, M.Kostava str. №68 Tel/Fax: 240 95 40; 240 95 09. Email: info@tbctv.ge. www.tbctv.ge

რეკვიზიტები

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საფირმო სახელწოდება: თიბისი თივი ინთერთეინმენთ ჰოლდინგი

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისის, კოსტავას ქ,. №68

ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისის, კოსტავას ქ,. №68

საიდენტიფიკაციო კოდი: 404859881

ელექტრონული ფოსტის მისამართი: avto@tbctv.ge

ტელეფონის ნომერი: 2409340

მომსახურე ბანკის დასახელება: სს თიბისი ბანკი

მომსახურე ბანკის კოდი (მფო): TBCBGE22

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი: GE78TB7193036080100001

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის

სახელი და გვარი: ზაზა შენგელია

ზაზა შენგელია

გენერალური დირექტორი

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. შესყიდვის ობიექტია ლიცენზირებული ფილმების მიწოდება სამჯერადი სატელევიზიო ჩვენების უფლებით 2017 წლის 01იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (მხატვრული, დოკუმენტური, ტელესერიალი, ანიმაცია) და მათი ქართულ ენაზე თარგმნა-გახმოვანება (CPV 39111000 -ფილმების ჩვენებასთან დაკავშირებული მომსახურებები) - შესყიდვა, კერძოდ:

1.1 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა მიაწოდოს კინო და ვიდეო მომსახურებები, საორიენტაციო ოდენობები:

ა. მინისერიალები -150 სერია (სატელევიზიო საათი)

ბ. მხატვრული ფილმი-105 საათი (სავარაუდო რაოდენობა -70 ერთეული)

გ. დოკუმენტური ფილმი-30 (სატელევიზიო საათი)

დ. მულტსერიალი-15 საათი

სულ 300 საათი

შენიშვნა: 1.1 პუნქტებში მითითებული მოსაწოდებელი პროდუქტის მოცულობა არის საორიენტაციო. შემსყიდველი იტოვებს უფლებას მომწოდებელთან შეთანხმებით შეამციროს ან გაზარდოს მათი მოცულობა.

1.2 მოთხოვნები: თარგმნა-გახმოვანება

მინისერიალები-150 საათი (მელოდრამა,დეტექტივი) ორ ხმაში

მხატვრული ფილმები: 105 საათი, გახმოვანება ორ ხმაში.

დოკუმენტური-30 საათი ერთ ხმაში (სამეცნიერო-შემეცნებითი ხასიათის, ტექნოლოგიურ მიღწევებზე (ინტერნეტი, კომპიუტერული გენიოსები), უახლესი ტექნოლოგიები, კლიმატურ ცვლილებებზე, ვირუსები, ადამიანის გონებრივ შესაძლებობებზე, სხვა განზომილებები, არქიტექტურული შედევრები).

მულტსერიალი - 15 საათი - უცხოური, გახმოვანება ორ ხმაში.

1.3 მხატვრული კლასიკური ფილმი - 60 ფილმი (90 საათი) - უცხოური, გახმოვანება ორ ხმაში(ლიცენზიის გარეშე).

სულ გასახმოვანებელი - 390 საათი მათ შორის: 360 საათი ორ ხმაში, 30 საათი ერთ ხმაში (დოკუმენტური ფილმი)

1.4. მხატვრული ფილმები სასურველია შეირჩეს შემდეგი მსახიობების მონაწილეობით:

ენტონი ჰოპკინსი, რიჩარდ გირი, ჯენიფერ ენისტონი, ტომ ჰენქსი, ნატალი პორტმანი, კირა ნაიტლი,პენელოპა კრუსი,ხავიერ ბარდემი, მონიკა ბელუჩი, ვენსან კასელი, მერილ სტრიპი, დე ნირო, მორგან ფრიმანი,ტილ შვაიგერი, ემილ ხირში,ანტონიო ბანდერასი,ჯენიფერ ლოურენსი,ბრედლი კუპერი, ბრედ პიტი, სანდრა ბალოკი, მილა კუნისი, მილა იოვოვიჩი, სკარლეტ იოხანსონი, ანჯელინა ჯოლი, ლეონარდო დი კაპრიო, ჰოლი ბერი, ჯონი დეპი, ბენ კინგსლი, კეიტ უინსლეტი, მარიონ კოტიარი, ორლანდო ბლუმი, ჯორჯ კლუნი, კოლინ ფირტი, ალ პაჩინო, ლაიამ ნისონი, ნიკოლ კიდმანი, შონ პენი, რალფ და ჯოზეფ ფაინსები.

1.5. მინი სერიალი სასურველია იყოს აშშ, იტალიური ან/და ესპანური წარმოების (12-60 სერიანი) ეკრანზე გამოსვლის თარიღი - 2010 წლიდან.

სერიალი არ უნდა იყოს გაშვებული საქართველოში მოქმედ არცერთ სატელევიზიო არხზე.

მოწოდებული პროდუქციის სია (მინი სერიალი, მხატვრული ფილმი, დოკუმენტური ფილმი, მულტსერიალი) უნდა იძლეოდეს არჩევანის გაკეთების საშუალებას. კერძოდ, თითოეულ ასარჩევ პოზიციაზე წარმოდგენილი უნდა იყოს სულ ცოტა სამი ფილმი.

1.6 ყოველ ფილმს უნდა ახლდეს ლიცენზია სამჯერადი სატელევიზიო ჩვენების უფლების თაობაზე 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა მხატვრული კლასიკური ფილმებისა.

1.7 ფილმები უნდა იქნას მიწოდებული მყარ დისკებზე (HDD), (დისკები, მიწოდების შემდეგ წაროადგენს შემსყიდველის საკუთრებას).

1.8 მიწოდება არის ექვსეტაპიანი: პირველი ეტაპი არაუგვიანეს ამა წლის 28 დეკემბრისა 60(სამოცი) საათის მასალა;

1.9 ყოველი მომდევნო 21 (ოცდაერთი) დღე - 66 (სამოცდაექვსი) საათის მასალა.

1.10 ყოველი მოწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა 50% მხატვრულ ფილმს და არანაკლებ 32% სერიალს.

1.11 მოწოდების ადგილი: შემსყიდველის ადმინისტრაციული მისამართი - ქ.ბათუმი, მ.აბაშიძის გამზირი №41.

1.12 მომწოდებლის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების წარმოდგენასთან ერთად უნდა აიტვირთოს:

ა) რეკვიზიტები, დანართი N1–ის მიხედვით;

ბ) ტექნიკური პირობა და ფასები (თანდართული ფაილის მიხედვით);

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. პრეტენდენტებმა (როგორც ფიზიკურმა, ასევე იურიდიულმა პირმა) უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ, რომლითაც უნდა დასტურდებოდეს, რომ პრეტენდენტის ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა (გარდა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკისა, რომელიც წარმოშობილია დავალიანების გამო და წარმოდგენის მომენტისათვის არ აღემატება 100 ლარს) არ არსებობს;

2.2. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს შემსყიდველი ორგანიზაცია.

2.3. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს ,,წინადადებების მიღება დაწყებულია'' ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ,,წინადადებების მიღება დაწყებულია'' ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

3. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა, აღნიშნულის თაობაზე მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

1. შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა, რომელიც გაცემული უნდა იყოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, სხვა აკრედიტებული პირის ან კერძო აუდიტორის მიერ (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი);

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით, ინვოისით.

დასკვნა ან/და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული შესაბამსის ხელშეკრულება,ანგარიშფაქტურა, ინვოისი წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო წინადადებასთან ერთად ან სატენდერო კომისიის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. ანგარიშსწორების პირობები:

4.1. მიმწოდებლთან საავანსო ანგარიშსწორება გამოიყენება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის (შუალედური/საბოლოო) გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში;

4.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 31 მაისის ჩათვლით.

5. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 355 000 (სამას ორმოცდათხუთმეტიათასი) ლარი.

6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს, მოთხოვნილ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 2%-იანი საბანკო გარანტია.

6.1 ზემოაღნიშნული გარანტიების მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების საბოლოო ვადას.

შემდეგ საკითხად მინდა წარმოგიდგინოთ საინფორმაციო სამსახურის მუშაობის პრინციპების თავისებურება, გუნდური მუშაობის ეფექტურობა, ეთერში წარმოშობილი ხარვეზები და ამ ხარვეზების გადაჭრის გზები.

მოგეხსენებათ, რომ წინა ანგარიშის დროს არაერთხელ გავამახვილე ყურადღება საინფორმაციო გადაცემის დაწყების (12:00,15:00, 18:00, 21:00) დროის გადაცილების თაობაზე სადაც სისტემატიურად ირღვეოდა დაწყების ზუსტი დრო. მთლიანად საეთერო სტუდიებს ექმნებოდა დისკომფორტი იმის გამო, რომ წამყვანი სისტემატიურად აგვიანებდა სტუდიაში ჩასვლას სხვადასხვა მიზეზების გამო. არაერთხელ იყო გაფრთხილებული წამყვანები გადაცემის პროდიუსერებისაგან, რომ დროული ყოფილიყო მათი ჩასვლა სტუდიაში, რათა ტექ. ჯგუფს მოემზადებინა და სინქრონში მოეყვანა სხვადასხვა ჩართულობის ტექნიკური ელემენტები და შემოწმებული ყოფილიყო ეთერში გამოსაყენებელი ტექ.საშუალებები, რომლის შემოწმებაც შემდეგ გამორიცხავდა ეთერში ხარვეზების არსებობას. ასევე არაერთხელ იყო შეხვედრა და საუბრები ახალი ამბების სტუდიისა და გამსვლელ ოპერატორებთან. გადაღებული კადრებისა და მონტაჟის დროს დაშვებულ შეცდომებზე. მოსმენილი იყო მათი მხრიდან არსებული პრობლემების არსებობა, მათი გზების ძიებისა და გადაჭრის შესაძლებლობები. მინდა აღვნიშნო, რომ მთავარ პრობლემად ისევ რჩება კოორდინაცია და უფლებამოსილების გამიჯვნა, ზუსტად გაწერილი უფლებამოსილების საზღვრები. ამ უფლებამოსილებების გამიჯვნის გარეშე პრობლემა ისევ გადაუჭრელი დარჩება და იქნება ისევ გადაბრალების მცდელობები.

მოკლედ, ამ ამბების შესახებ: 2016წლის 18 ნოემბერს მოძრავი სატელევიზიო სადგური და საინფორმაციო გამოშვების ჯგუფი გაემგზავრა ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლირებისათვის და ასევე საინფორმაციო გამოშვებისათვის უნდა გაეკეთებინათ პირდაპირი ჩართვა. იმ დღეს ნიუს რუმის რედაქტორი გახლდათ ლაშა ზარგინავა, ხოლო პროდიუსერი - ნატალია კიკვაძე.

ლაშა ზარგინავა და ნატალია კიკვაძე მოხსენებით ბარათში მიუთითებენ,რომ საშვი პარლამენტის ეზოში მ.ს.ს - ა მომსახურე პერსონალზე არ იყო შეკვეთილი და შეთანხმებული საპარლამენტო საშვის ბიუროსთან. ამდენად ვერ მოხერხდა ჯგუფის ტერიტორიაზე შესვლა და გეგმით გაწერილი რეპორტიორის თეონა ხარაბაძის პირდაპირი ჩართვა .

პროდიუსერის ნატალია კიკვაძის განმარტებით, ამ ფაქტმა მთლიანად შეცვალა საინფორმაციოს მიმდინარეობის რიგითობა(,,ვიორსტკა") და მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ეთერი დაწყებულიყო 4 წუთით გვიან მ.ს.ს გამოეყენებინათ უკვე პარლამენტის ეზოს გარეთ და იქედან განეხორციელებინათ პირდაპირი ეთერი. ამ დროს, როცა რიგითობით მესამე მასალით დაიწყო გადაცემა და ლაშა ველიაძე შეიყვანეს ეთერში, სუფლიორი, რომელსაც მართავდა ლელა ლომთათიძე, ტექსტი ვერ იქნა დროულად ნაპოვნი, ხოლო ლაშა ველიაძემ დროის სიმცირის გამო ვერ დაბეჭდა და ვერ გამოიყენა ბეჭდვითი ვერსია პირდაპირ ჩართვაში, რის გამოც ეთერი კარგა ხნით შეჩერდა და შეიქმნა უხერხული სიტუაცია - სატელევიზიო ენით - ეთერი ჩავარდა.

,,ახალი ამბების" ხელმძღვანელის შორენა ღლონტის განმარტებით -,, ეს ინციდენტი ეთერის ჩავარდნის საბაბს არ იძლევა .....არ მოხერხდა პარლამენტის ეზოში შესვლა? ჩართვა უნდა

შედგეს ეზოს გარეთ.... ეს არ არის გამამართლებელი იმ სიტუაციისა, რასაც ქვია ეთერში დაგვიანება და ჩავარდნა...'' შორენა ღლონტის განმარტებით ამ ჩავარდნაზე პასუხი უნდა მოეთხოვოს საინფორმაციო გამოშვების ჯგუფს, დაწყებული გადაცემის რეჟისორიდან დამთავრებული ტექ.პერსონალისა და გადაცემის მომზადების ჯგუფის თითოეული წევრით ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ კოორდინაცია და გუნდურობის პრინციპი დარღვეულია და კიდევ ერთხელ მოვითხოვ, მოხდეს უფლებამოსილების გამიჯვნა.

ასევე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს რეპორტიორების პირდაპირი ჩართვის დროს წინადადებათა წყობას,მათი მარტივი ენით გადმოცემასა და პოლიტიკური ლექსიკონის ზუსტ გამოყენებას და მათ გაშიფრვას მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე, რადგან ხშირია შემთხვევები ფრაზეოლოგიის არასწორი გამოყენებისა. ხშირია შეცდომები ბეჭდვით ვერსიებშიც.განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეპორტიორების თხრობას ეგრეთ წოდებული ,,ლაივის'' -ს დროს. ამ დროს მიწოდებულ ინფორმაციაში ხშირია წინადადებების გაუმართაობა, არასწორი აზრობრივი დატვირთვები, რაც მაყურებლისათვის ხანდახან გაუგებარი ხდება. ამის აღმოსაფხვრელად ხშირად უნდა ტარდებოდეს ტრენინგები. ამ და სხვადასხვა შინაარსის თემებზე ხშირად გვიწევს საუბარი გადაცემის რედაქტორებთან, სტილისტთან და ეს განხილვა ხდება ხარვეზის წარმოშობისთანავე, რათა ერთ გამოშვებაში დაშვებული შეცდომა ჯაჭვისებურად არ განმეორდეს შემდეგ გამოშვებებში.

შემდეგ საკითხად მინდა წარმოგიდგინოთ ტელევიზიისა და რადიოს ვებ გვერდის პრობლემები.

ვებგვერდის რადიოში გადატანით თავი იჩინა სხვადასხვა ხარვეზებმა. როცა ვებგვერდის ჯგუფი ტელევიზიის შენობაში ფუნქციონირებდა, კარგად თუ ცუდად, სხვადასხვა შეცდომებისა თუ ხარვეზების წარმოჩენის დროს შევდიოდით მათ სამუშაო ოთახში და ერთობლივად განვიხილავდით პრობლემებსა და მათი მოგვარების გზებს. ხოლო მათი რადიოში გადასვლით - შეიქმნა კომუნიკაციის პრობლემები, მარტო ტელეფონით კომუნიკაცია და მსჯელობა ვერ დააკმაყოფილებდა ამ გადაწყვეტილებების სიმძაფრეს, ამისათვის საჭიროა - სკაიპით ურთიერთობა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება. ხშირი იყო შეცდომები როგორც ბეჭდვით, ასევე გადაცემების ატვირთვისას. ვებ გვერდზე ატვირთული გადაცემების წყაროდ გამოყენებული იყო პირდაპირი ეთერი და ის ხარვეზი, რომელიც არსებობდა ან შეიძლება არსებულიყო ტრანსლაციის დროს, ისევე ხარვეზით ჯდებოდა საიტზე და დისკომფორტს უქმნიდა მნახველს.

შევეხეთ რა ვებგვერდის ერთი შეხედვით უბრალო ტექნიკურ გადასაწყვეტ პრობლემას, თავი იჩინა სხვა უფრო გლობალურმა პრობლემებმა.

რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსმა -გიორგი მოისწრაფიშვილმა წარმოადგინა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ვებგვერდის განვითარების გეგმა, რომლის დანერგვას 4 თვის განმავლობაში ცდილობდა. ამ გეგმაში თავმოყრილია ვებგვერდის განვითარების და მისი სამომავლო პერსპექტივები. წარმოგიდგენთ ბეჭდვით ვერსიას, რომელიც შეიმუშავა გიორგი მოისწრაფიშვილმა განსხილველად და დასანერგად. მან არაერთხელ დასვა საკითხი მენეჯმენტის წინაშე და დღესაც ახალი წლის დასაწყისს ვხვდებით ამ პრობლემებით. თუმცა ამ თემაზე

გავაგრძელებ საუბარს, როდესაც გადავალ რადიოს ვებ გვერდისა და საეთერო ადამიანურ რესურსების ნაკლებობის პრობლემებზე სასაუბროდ.

შემდეგ საკითხად მინდა წარმოგიდგინოთ სატელევიზიო გადაცემები და საეთერო ბადეში განთავსებული გადაცემების მონაცემები და მათი პერიოდულობა.

მოგეხსენებათ, რომ 2016 წლის პერიოდულ მონაკვეთში, ეთერში გასული საკუთარი პროდუქციის რაოდენობა საეთერო ბადისათვის შეადგენდა 34 საავტორო გადაცემას და 10 თოქ-შოუს 2016 წლის დეკემბრისათვის კი საეთერო ბადეს შემორჩა მხოლოდ 16 საავტორო და 5 თოქ-შოუ. ესენია:

საავტორო

დასახელება	ხანგრძლ.	ძირითადი ჩვენება	განმეორება 1	განმეორება 2
საავტორო დოკ.ფ. ოლღა ჟღენტი	-			
საავტორო დოკ.ფ. გია დიასამიძე	-			
საავტორო დოკ.ფ. შოთა გუჯაბიძე	-			
საავტორო დოკ.ფ. ნერონ აბულაძე	-			
ერთი დღე სოფელში ნათია თავდგირიძე	25-40 წ.			
ეთნოფორი მიხეილ გაბაიძე	18-27 წ.			
სცენა ინგა ხალვაში	20-30 წ.			
ეკომიგრაცია სოსო სტურუა	18-20 წ.			
უცხო სუნელი ალეკო თხილაიშვილი	15-20 წ.			
პროექცია ზვიად სირაბიძე	30-40 წ.			
თეთრი კვადრატი გიორგი გოგიბერიძე				
ბიბლიოთეკა მარი კორინთელი				
რჩეული ფრაგმენტები ამიკო ქავთარაძე	5-10წ			

მე ვარ ფერმერი ლელა ფაღავა				
ბუნების კანონი ირაკლი მსხილაძე				
სპეცრეპორტაჟი ემზარ დიასამიძე				
ტელესპექტაკლი				
ეკონომისტი				

პირდაპირი ტოქ-შოუ

დასახელება	ძირითადი ჩვენება	განმეორება 1
საღამოს ტოქ-შოუ "#ჰეშტეგი"		
დილის ტალღა		
ფაქტორი		
სპორტი		
იმპულსი		

თუ 2016 წლის დასაწყისიდან საეთერო ბადე მთლიანი გადაცემების 44 ეთეულით მაუწყებლობდა - 34 საავტორო გადაცემა და 10 თოქ - შოუ - 2016 წლის მიწურულს კი ბადეში დარჩა 14 საავტორო გადაცემა და 5 თოქ-შოუ, რაც შეადგენს 18 ერთეულს. 2016 წლის მიწურულს, საერთო გადაცემების პროცენტული მაჩვენებელი დაეცა მიახლოებით 40,90%-მდე და დიდი ალბათობით ახალი სეზონიც ამ მაჩვენებლით დაიწყება.

პროგრამული პრიორიტეტებში სხვადასხვა მიმართულებით განვიცდიდით დეფიციტს და გვქონდა მცდელობა როგორმე გადაცემების მოდერნიზებით წარმოგვეჩინა ვითომდა ამ ჟანრთან, ან მიმართულებასთან შეხება, მაგალითად:ჟანრობრივად, ბათუმის ისტორიული შენობების კვლევების მიმართულებით გვქონდა გადაცემა - ,,სახლი ბათუმში'' - საკმაოდ რეიტინგული საავტორო გადაცემა. ხოლო რამდენიმე გადაცემა რატომღაც ბათუმის ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს დაეთმო, რითაც გადაცემის ვექტორი დაირღვა, თუმცა შეიძლებოდა ეს გადახვევა გასწორებულიყო.ეს გადაცემა საავტორო გადაცემების ჩამონათვალში არ მოხდა...ე.ი. დაიხურა და პროგრამული მიმართულების ეს მიმართულებაც დამთავრდა - ჩანაცვლება კი არ მოხდა.

ასევე მოხდა მუსიკალური გადაცემის - „რექ-თაიმის“ დახურვა. საქმე იმაშია, რომ ჩვენ თანხის სიმცირის გამო მექანიკურ პროდუქციას მუსიკალურ გადაცემებზე ვერ ვიძენთ და ჩვენი პროდუქციის ჩანაცვლებით კი, რაც გვქონდა ისიც დავხურეთ , ამასთან ალტერნატიული პროექტიც არ გაგვაჩნია. კიდევ შეიძლება ვისაუბროთ ტელევიზიის საკუთარ ,,ნიშაზე'', რომლის სახით გაგვაჩნდა გადაცემა ,,ქვევრისპირული'' და ამ პროექტის შეჩერებით ჩვენ ამ პერსპექტულ პროექტზე ვთქვით უარი.....დიდი ალბათობით, ადრე თუ გვიან ამ პროექტს სხვა კონკურენტი ტელევიზია აიტაცებს. დასანანია, პროექტს ქონდა განვითარების პერსპექტივა. იყო სხვა გადაცემებიც და

მისი დახურვის შემდეგ არ ყოფილა არც ჩანაცვლების და არც ალტერნატიული გადაცემის შექმნა. ასევე დაიხურა და არ ჩაენაცვლა დარგობრივ მიმართულებებს: კულტურული მიმართულების - ,,არტეოგრამას'', განათლების მიმართულებით - პარადიგმას, ეკონომიური მიმართულებით -,, ეკონომისტი''.
მინდა შევეხო სტუდიურ დეკორაციებს. კრიტიკას ვერ უძლებს საავტორო თუ თოქ-შოუსათვის გათვლილი დეკორაციების პარამეტრები, რომლებიც როგორც სტუმრისათვის, გადაცემის წამყვანისათვის, ასევე სტუდიის ოპერატორებისათვის დიდ უხერხულობებს ქმნის. განათების ტექნიკურ საშუალებებზე კი ჯერ ვერაფერს გეტყვით, რა საშუალებებიც გვაქვს იმით გავანათებთ....თუმცა ახალი სტუდიის შექმნა ითვალისწინებს თავის განათებებსაც.....

სტრუქტურული მართვის ამ ფორმამ და სატელევიზიო განვითარების სტრატეგიის არ არსებობამ მიგვიყვანა გადაცემათა სიმცირემდე . აღმოჩნდა, რომ ახალ სეზონთან მიახლოვებულებს პროგრამული პრიორიტეტებით გაწერილი გადაცემები ჩამონათვალში დაგვაკლდა და ახლით არ შეიცვალა, რადგან ადამიანური რესურსი სხვა გადაცემებში გადანაწილდა. ჩემი აზრით, ახალი სეზონი არ უნდა დაგვეწყო და თუ დავიწყებდით, უნდა დაგვეწყო გადახალისებული, ახალი, პრიორიტეტებზე მორგებული გადაცემათა ციკლით, არხის შეფუთვისათვის მომზადებული ანონსებით, პრომოებითა და ლოგოტიპით განახლებული. აი ამ ყველაფერს არეგულირებს მაუწყებლის რადიოსა და ტელევიზიის სტრატეგია, რომელიც ტელევიზიას ამჟამად არ აქვს.

რადიოს მიმართულებით პრიორიტეტების შესრულების მხრივ, რადიო ეთერი - ოთხ სეგმენტადაა დაყოფილი

1. სეგმენტი - დილის გადაცემების ზოლი
2. სეგმენტი - დღის ეთერის ზოლი
3. სეგმენტი - საღამოს გადაცემის ზოლი
4. სეგმენტი - ღამის გადაცემის ზოლი

   რადიო ეთერის პროგრამული პრიორიტეტები ნაწილობრივ ვერ სრულდება და შეიძლება ჩავარდეს, რადგან ამისი მიზეზი შეიძლება დარჩეს ადამიანური რესურსის ნაკლებობა. სტაჟიორებმა რადიოში დაასრულეს სტაჟირებისათვის განკუთვნილი პერიოდი, აქტიურად არიან ჩართულნი რადიოგადაცემებში, მათი არ აყვანა იმ ვაკანტურ ადგილებზე, რომლებიც შესავსებია, გამოიწვევს ზოგიერთი სეგმენტური ზოლის შეჩერებას.
   მოგახსენებთ, რომ 8 დან 5-ი ვაკანტური ადგილი შესავსებია და ეს მიმართულებებია:
   შუადღის საზოგადოებრივ სოციალური პროექტი - 2ადგილი
   წამყვან რეპორტიორი - 1 ადგილი
   დილის გადაცემის რეპორტიორი - 1 ადგილი
   ვებ ფუნქციონალის სპეციალისტი - 1ადგილი
   კომპლექტაციის შემდეგ კი განისაზღვროს შიდა სტაფის პროგრამული პრიორიტეტების შეფასება, თუ რა ნაწილში რა რესურსი წავა.

რადიო და ინტერნეტ განვითარების სამსახურის უფროსის - გიორგი მოისწრაფიშვილის განცხადებით ამ პრობლემის გადასაწყვეტად კანცელარიაში დიდი ხანია დევს მოხსენებითი ბარათი, დათარიღებული 04.10. 2016 და დღესაც გადაწყვეტის მოლოდინშია.....თუმცა ეს პრობლემა, ალბათ უკვე გადავა 2017 წელს.

წარმოგიდგენთ რადიოსა და ინტერნეტ-მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსის გიორგი მოისწრაფიშვილის ვებგვერდის, გადაცემებისა და საეთერო ბადის განვითარების სამუშაო გეგმას. (ტექ. დოკუმენტაცია)

რადიოს გადაცემებისა და საეთერო ბადის განვითარების სამსახურის სამუშაო გეგმა

მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე აქტუალური გახდა რადიოს გადაცემათა და რადიოს ბადის განვითარების სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრა - დაგეგმარება. შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია არსებული და დამატებითი რესურსების გამოყენებით მოხდეს 2016-17 წლის გადაცემათა ბადისა და გადაცემების პრიორიტეტების შემდეგი სახის ცვლილებები:

ახალი ამბები

ახალი ამბების გამოშვებები რადიოს გადაცემების ბადეში განთავსდება ყოველი საათის დასაწყისში. დაწყებული დილის 10 საათიდან ღამის 21 საათამდე. საინფორმაციო გამოშვებების ქრონომეტრაჟი განისაზღვრება შემდეგნაირად:

10:00 - 5 წუთი, 11:00- 5 წუთი, 12:00 - **10** წუთი, 13:00- 5 წუთი, 14:00- 5 წუთი, 15:00 - **10** წუთი, 16:00- 5 წუთი, 17:00- 5 წუთი, 18:00 -10 წუთი, 20:00- **10** წუთი, 21:00 -- **5** წუთი

5 წუთიანი გამოშვებები ძირითადად გავა "დაიჯესტის სახით". ძირითადი გამოშვებები (15,18, 20 საათზე გავა ხმიანი მასალის თანხლებით. გამონაკლის წარმოადგენს სპეციალური გამოშვებები, საგანგებო ვითარება ან არჩევნები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები

საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემების ფორმატი განიცდის მცირეოდენ სახეცვლილებას. მოწვეულ სტუმრებთან ერთად გადაცემის მსვლელობაში მონაწილეობის და გადაცემის თემასთან დაკავშირებული კითხვის დასმის უფლება უნდა მიეცეს რადიო (ინტერნეტ) მსნემენსაც. საამისოდ უნდა შეირჩეს გადაცემის დრო სადაც კითხვებს თავად მსმენელი დასვამს. გადაცემის ეთერში გასვლამდე კი თემის ანონსები უნდა ტრიალებდეს როგორც რადიოს ეთერში, ასევე უნდა განთავსდეს რადიოს საიტზე, სოციალურ ქსელში და გადაცემის გვერდზე შესაბამისი მიმდინარე ცვლილებებით.

გადაცემები ეთერში გავა ტრადიციულ დროს. ორშაბათი - კომპეტენტური პასუხი სამშაბათი - ინდიკატორი. ოთხშაბათი კომპეტენტური პასუხი. ხუთშაბათი ინდიკატორი პარასკევი - კომპეტენტური პასუხი.

გადაცემის დასაწყისი 18:30 წუთი, დასასრული 19:40 წუთი

გადაცემაში ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ თემებზე როგორიცაა: პოლიტიკა, ეკონომიკა, არჩევნები, რეგიონის თვითმართველობა, ნატო, გაერო, ევროკავშირი, სამართალი, ეკოლოგია, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა,

გადაცემების მომზადებას უზრუნველყოფენ : **მაია ვარშანიძე, ტარიელ ცეცხლაძე, ნინო ჩხეტია.** საჭიროების შემთხვევაში, თუ პროდიუსერი მიიჩნევს რომ გადაცემისთვის სჭირდება დამატებით სიუჟეტის მომზადება - აღნიშნულ საკითხს აგვარებს გაერთიანებული ნიუსრუმი.

კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამები:

გამომდინარე იქედან რომ რადიო უფრო მკვეთრად უნდა პასუხბდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებულ პრიორიტეტებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საეტერო ბადეში, საზოგადოებრივ -

პოლიტიკური გადაცემების სეგმენტის დარად განთავსდეს კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამა (პირობითი სახელწოდებით "ღია ეთერი").

პროგრამა თავის ტავში აერთიანებს კულტურულ, სოციალურ, საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე და დაგეგმილი მოვლენების გაშუქებას.

პროგრამა ეთერში გავა 15:10 წუთზე. 40 წუთიანი ქრონომეტრაჟით. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. ჩამოთვლილი დღეებიდან ერთ-ერთი სრულად დაეთმობა სპორტს და სპორტთან დაკავშირებულ თემატიკას.

გადაცემაში ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ თემებზე როგორიცაა: მეცნიერება და განათლება, კულტურა, სპორტი, ჯანმრთელობა, სოფელი, ფოლკლორი, შ,შ,მ საზოგადოება, ეროვნული უმცირესობა, მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტობა, ლიტერატურა, კინო, თეატრი, ეკოლოგია

პროგრამის მომზადებას უზრუნველყოფენ :**ცისანა ჩხეიძე, ირმა ჩხაიძე, გოგი მურვანიძე.**

პროგრამა გასაშუქებელი თემების სიმრავლის გამო მოითხოვს მინიმუმ 1 კორეპონდენტს რათა საჭოროების შემთხვევაში შესძლოს სიუჟეტის მომზადება.

დილის შემეცნებით გასართობი პროგრამა:

დილის შემეცნებით გასართობი პროგრამა არ საჭიროებს დიდ ტრანსფორმაციას. მისი ქრონომეტრაჟი და გასვლის დრო რჩება უცვლელი. პროგრამას დაემატება არსებული პრიორიტეტების რიგი საკითხები, რომლებზეც უფრო მეტი აქცენტი უნდა გააკეთოს.

ასეთებია : მეცნიერება და განათლება, ლიტერატურა, ისტორია, ფოლკლორი, თანამედროვე და დამწყები შემსრულებლები, არტისტები, კონო, თეატრი, ბავშვები, სტუდენტები, შ.შ.მ პირები, ტურიზმი.

დილის პროგრამის მომზადებას უზრუნველყოფს : **თეონა ზედანია, ილია შავიშვილი, ინგა მებონია, კობა ფარტენაძე.**

საღამოს შემეცნებით - მუსიკალურ - გასართობი პროგრამა

საღამოს საეთერო ბადე შედარებით მსუბუქი თემატიკის და სხვა ტემპორიტმის მატარებელი უნდა იყოს ვიდრე დილა და შუადღე. საღამოს საეთერო ბადეში გადანაწილებული განსხვავებული თემატიკისა და ჟანრის რუბრიკები, საღამოს ეთერის წამყვანის "საეთერო ჭრები, მუსიკა და ინტერაქტივი მთლიანობაში განაპირობებს საღამოს ეთერის ჟანრობრივ ერთიანობას.

საღამოს მუსიკალური პროგრამა, ისევე როგორც მთლიანი ბადე უნდა ექვემდებარებოდეს რადიო აჭარის მუსიკალური ფორმატის პრიორიტეტებს და მასზე უნდა იყოს მორგებული.

პროგრამის წამყვანის მიერ "საეთერო ჭრა" პროგრამის მსვლელობის მანძილზე უნდა განხორციელდეს ყოველ 10-15 წუთში ერთხელ. ფრომატიდან გამომდინარე შესაძლებელია სტუდიაში სტუმრის მოწვევა ან სატელეფონო ჩართვა.

რუბრიკებისთვის აქტუალურ თემებს წარმოადგენს:

- მუსიკა, ერთი ჰიტის ისტორია, იუბილარი ავტორები, სიმღერის პრემიერა, სამამულო და უცხოური შოუ ბიზნესის მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენები.
- ადგილობრივი ჯგუფების და შემსრულებლების პოპულარიზაცია.

- კინომუსიკა, თეატრი, ვირტუოზ შემსრულებელთა ისტორია
- ხელოვნება, მოდა, სახვითი ხელოვნება.
- მეცნიერების თანამედროვე მიღწევები და საინტერესო ფაქტები. Hi Tech
-

გარდა ჩაწერილი, მზა რუბრიკებისა ზემოთ ჩამოთვლილი თემები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ღია საეთერო ჭერბისთვის.

საღამოს საეთერო ბადეში შესაძლებელია განთავსდეს როგორც ღია, ასევე არასტუდიური ფორმატის გადაცემები, რომლებიც შესაბამის თემატიკას უპასუხებს.

პრიორიტეტულია ამ სეგმენტში უფრო მეტი რესურსის გამოყენება, რადგან საღამოს პროგრამის დინამიური ფორმატი იძლევა შესაძლებლობას უფრო იოლად და სწრაფად მოიპოვოს მსმენელის ყურადღება ვიდრე ბადეში არსებულმა სხვა პროდუქტმა.

საღამოს ეთერს უზრუნველყოფენ: **სალომე ბეჟანიძე, თამთა სულაბერიძე, ხატია ჯაში.**

საღამოს ეთერის ქრონომეტრაჟი - ოთხი საათი. 7 დღე.

გამომდინარე იქედან რომ საღამოს ეთერი არის ყველაზე ხანგრძლივი და რუბრიკებით უხვი პროექტი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ სეგმენტზე დაშვებულ იქნეს მინიმუმ + 2 ადამიანი.

სტუდიურად ჩაწერილი მზა გადაცემები:

სტუდიურად ჩაწერილი მზა გადაცემები, რომლებიც დამზადდება რადიო აჭარის ბაზაზე. პროგრამული ბადის დაგეგმარების პრიორიტეტების მიხედვით განთავსდება საეთერო ბადეში.

არსებული გადაცემები:

"შაბათიდან-შაბათამდე" - ნინო სადრაძე, ქრონომეტრაჟი 30 წუთი

"პერსონა" - ინგა მებონია. ქრონომეტრაჟი 30 წუთი

"კანონი და მოქალაქე" - ნინო ჩხეტია. ქრონომენტრაჟი 15 წუთი

"ლიტერატურული პორტრეტები" - გენრი დოლიძე. ქრონომეტრაჟი 15 წუთი

არსებული რუბრიკები:

რუბრა წარმოადგენს მცირე ზომის ჩანაწერებს, რომლებსაც ერთი საერთო თემა აერთიანებს.

ფერმერის ხუთი წუთი - ნოდარ ცეცხლაძე

გაერო - ნინო ჩხეტია

რადიოს გადაცემების პროგრამული ბადის სამომავლო პრიორიტეტები

რადიოს პროგრამულ ბადეში არსებული გადაცემები არ იძლევა საშუალებას მაქსუმალურად უპასუხოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებს. ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შეიქმნას რიგი გადაცემები და რუბრიკები, რომლებიც დაგვეხმარება არსებული ნიშის შევსებაში.

მაგალითისთვის:

აუცილებელია შაბათ-კვირის საეთერო ბადის შევსება შემეცნებით-გასართობი პროგრამით რომელიც უპასუხებს რადიო აჭარის პროგრამულ პრიორიტეტებს.

აუცილებელია მომზადეეს გადაცემა ან მცირე ზომის რუბრიკები ისეთ აქტუალურ და რეგიონისთვის მნიშვნელოვან საკითხზე როგორიც არის

- **ტურიზმი.**
- **ეკოლოგია.**
- **ფოლკლორი**

აუცილებელია ჩაეშვას რადიო პოდკასტების პროექტი, რომელიც წარმოჩნდება სოციალური პრობლემები. ქალაქი და ქალაქის პრობლემები. პოდკასტი წარმოადგენს რადიო ბლოგს, რომელიც ასევე აიტვირთება რადიოს ვებსაიტზე.

რადიოს გადაცემები ეთერში გასვლამდე უნდა დაანონსდეს როგორც რადიოს ეთერში, ასევე სოციალურ ქსელშიც. ეთერში გასვლის შემდეგ ყველა გადაცემა უნდა განთავსდეს რადიოს ვებ საიტზე შესაბამისი ანოტაციითა და ფოტო მასალით. ხოლო ატვირთული გადაცემის ბმულები გაზიარებულ იქნეს სოციალურ ქსელში.

უნდა დაჩქარდეს რადიოს ეთერის ვიზუალიზაციის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს რადიოს საეთერო სტუდიაში ვიდეო კამერების დამონტაჟებას და რადიოს საიტზე ეთერის ტრანსლირებას.

დასამზადებელია რადიოს საიმიჯო რგოლები სხვადასხვა თემატიკით:

მე ვუსმენ რადიოს.

რადიოს ოქროს ფონდი

პროგრამულ დაგეგმარებაში შეტანილი ცვლილებები შეეხება როგორც არსებულ, ასევე სამომავლო პროექტების ჩამოყალიბების პროცესს.

Radioajara.ge

- ზედა ნავიგაციის ველი "რეკლამა" - ცარიელია. თუ რაიმე ინფორმაციის განთავსებას არ ვაპირებთ ჯობია ამოვიღოთ.
- ამოსაღებია *google+* და *twitter*-ის იარლიყები. დავტოვოთ მხოლოდ *FB* და Youtube და კარგი იქნება თუ გადავალთ *Instagram*-ზე.
- ძიების ღილაკზე დაჭერისას საიტის შუაშიჩნდება საკმაოდ მოზრდილი საძიებო ველი. სასურველია თუ ღილაკთანვე იარსებებს მზა საძიებო ველი, რომელიც არ მოითხოვს დამატებით ფანჯრების გახსნას
- ნავიგაციის ველში დასამატებელია „რუბრიკები"
- „წამყვანები" - სრულიად ცარიელია. სასურველია აიტვირთოს მათი სურათები მოკლე ბიოგრაფიით
- ასევე სრულიად ცარიელია „პროგრამა", რომელშიც აუცილებლად უნდა აიტვირთოს მინიმუმ ერთი კვირის პროგრამა (იმ შემთხვევაში თუ წინასწარ ცნობილია რა რომელ საათზე გადის)
- ოქროს ფონდში დასამატებელია მასალა. არსებული არის ძალიან მწირი
- ინგლისური ენაზე გადაყვანისას არ ითარგმნება არც სტატიის სათაური და არც თვითონ არტიკლი.
- მიმდინარე მოვლენების ქვემოთ არსებული გალერეა სრულიად უფუნქციოა. მასზე დაწოლისას მომხმარებელი ადის გვერდის თავში. არ მუშაობს სურათზე მიმაგრებული მიმთითებელი ნიშნები, რომლებსაც უნდა გადავყავდეთ შემდეგ სურათებზე. ამჟამად მხოლოდ დილის გადაცემის ქოვერია, რომელზეც უცხოელი წამყვანების სურათებია.
- კარგი იქნება თუ დაემატება სტატიის გაზიარების ღილაკი FB-ზე. ეს უფრო გაამარტივებს საიტის და Fb-ს ურთიერთობას. საიტზე არის მხოლოდ ერთი გაზიარების ღილაკი, რომელიც რადიო აჭარის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდს აზიარებს მთლიანად.
- შესაცვლელია თითქმის ყველა გადაცემის ქოვერი. „რუბრიკები"ის დამატების შემდეგ რასაკვირველია უნდა აიტვირთოს მათი ქოვერებიც შინაარსიდან გამომდინარე (ახალი სეზონი)
- გამოვლინდა რამოდენიმე ტექსტის უზუსტობა. სათაურიც და თვითონ ტექსტიც უნდა იყოს გამართული
- სასურველია ვებგვერდს პირველ ეტაპზე დაემატოს ამინდის პროგნოზის და ვალუტის კურსის ვიდჯეტები.

Facebook

- ახალ სეზონთან ერთად შეიცვალოს რადიო აჭარის კუთვნილი ყველა გვერდის ქოვერი
- დაფიქსირდა ერთ ერთი გვერდის საკუთარივე პოსტის მოწონების ფაქტი.
- კვლევის ჯგუფის რჩევით არ გავაუქმოთ და არ გავერთიანოთ ყველა გადაცემა ერთ გვერდში. მათი თქმით სასურველი იქნება თუ მომხმარებელი ბევრი წყაროდან მიიღებს ინფორმაციას

რადიოს საიტზე არსებული ფუნქციონალური პრობლემები

1. ჩამოტვირთვის ღილაკი არ ფუნქციონირებს(არ არის შესაბამისი ხმოვანი ფაილები და შესაძლოა, რომ პრობლემა სწორედ ამით იყოს განპირობებული);
2. ახალ ამბებში, როგორც სათაური, ისე - დანარჩენი ტექსტი, არაპროპორციულად ნაწილდება(არ არის ტექსტის სწორების/ზღვრულობის ფუნქცია);



მოგვარების გზა: საიტს დაემატოს ტექსტისა და ტექსტის სათაურის ცენტრული სწორებისა და მინდვრების გასწორების ფუნქცია;

3. გადაცემების პლეერის ფანჯარა არასიმეტრიულად, მონიტორის ქვედა მხარეს ჩნდება;



მოგვარების გზა: პლეერის ფანჯარა მოექცეს შესაბამისი გადაცემის ჩამოსაშლელ პანელში;

4. სოციალურ ქსელებში კონკრეტული ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობა არ არის;



მოგვარების გზა: დაემატოს სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობა და შესაბამისი ხატულები დალაგდეს შემდეგი თანრიგით: Facebook, Twitter, Google+, Livejournal და სხვა..

5. Live რეჟიმი მუშაობს დაყოვნებით(ირთვება მცირე ხნიანი დაგვიანებით); ასევე, Live რეჟიმის პარალელურად რომელიმე განყოფილებაში შესვლისას, ფიქსირდება დროებითი წყვეტა და ხელახალი ჩატვირთვა; + ამას, არ არის ფუნქცია მიმდინარე გადაცემის, კომპოზიციის და ა.შ შესახებ ასახვისთვის;

მოგვარების გზა: Live რეჟიმს მოეხსნას ახალ ფანჯარაზე გადასვლის ფუნქცია და გაიმართოს ტექნიკურად; ასევე, დაემატოს ინფორმაცია მიმდინარე რეჟიმში (გადაცემის,კომპოზიციის, შემსრულებლის და ა. შ შესახებ);

6. გვერდზე ახალი ამბების რაოდენობა განუსაზღვრელია; შესაბამისად, ახალი ამბების გვერდის მოცულობა ძალიან დიდია;



მოგვარების გზა: გვერდზე ახალი ამბების რაოდენობა განისაზღვროს 10(ათი)ერთეულით და გვერდები დაინომროს;

7. 'მიმდინარე მოვლენები'-ს განყოფილებაში შეუძლებელია ბმულის ჩასმა;



მოგვარების გზა: ტექტის დამატებასთან ერთად ინტეგრირდეს ბმულის ჩასმის ფუნქციაც;

8. გადაცემები ფოტო-ქოვერები ზუმით!
მოგვარების გზა:



ტელევიზიის საიტზე არსებული ფუნქციონალური პრობლემები

1. მთავარ გადამსვლელზე(სლაიდერი) ისრების ნაცვლად ტელევიზიის ლოგოებია დასმული;



მოგვარების გზა:

2. მთავარი სლაიდერი ძალია დიდი ზომისაა, რის გამოც რთულდება მასზე ფოტოების მორგება;

მოგვარების გზა:

3. დღის ამბების წყობა ფუნქციონალურად არ შეესაბამება საიტს; ერთი და იგივე დღეს დადებული სიახლეებიდან ერთი კონკრეტული სიახლე სხვა სიახლეებთან მიმართებაში ავტომატურად ჩნდება პრიორიტეტულ ნაწილში;



მოგვარების გზა:

4. გადაცემების გარეკანის(ქოვერი) ფოტოები ზომის ცვლილებას არ ექვემდებარება და თავსდება ავტომატურ რეჟიმში;

მოგვარების გზა:

5. ნავიგაციის მთავარ მენიუში(საიტის კატეგორიების ჩამონათვალში) მითითებულია 'მრჩეველეთა საბჭო';

მოგვარების გზა:

ბლოგები

რადიოს ვებ საიტზე მულტიმედია კონტენტის - ბლოგის პლათფორმის გამართვისთვის საჭიროა:

მთავარ სამართავ პანელზე უნდა გამოვიდეს ხატულა ბლოგები.

ლინკზე გადასვლის შემდეგ გადავდივართ ბლოგის კატეგორიის მთავარ გვერდზე სადაც თავმოყრილია :

1. ბლოგები - ტექსტუალური მასალა + ფოტო იგივე პოსტში

2. ფოტო ბლოგი - ფოტო რეპორტაჟი,

3. ვლოგი - ვიდეოკონტენტის შემცვლელი ბლოგი

4. პოდკასტი - აუდიო ბლოგები გამოწერის და ჩამოტვირთვის ფუნქციით

. ბლოგი

ბლოგერი, (მოწვეული ავტორი ან საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელი) გარკვეული პერიოდულობით. (თვეში მინიმუმ ერთხელ)ამზადებს პოსტს, რომლის თემატიკა უნდა გამომდინარეობს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებიდან. პოსტის სიდიდე უნდა განისაზღვროს როგორც თემატიკით, ასევე სიტყვათა რაოდენობით (მაქსიმალური ზღვრული ნორმა 900-100 სიტყვა). სასურველია პოსტს ერთვოდეს მინიმუმ ერთი თემატური ფოტო

. ფოტო ბლოგი

ფოტო ბლოგზე წარმოდგენილი იქნება როგორც დამწყები, ასევე პროფესიონალი ფოტოგრაფების ფოტო პოსტები. ფოტო რეპორტაჟი. მნიშვნელოვანი და საინტერესო

მოვლენა რომელიც აისახა მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ფოტოთი. ფოტო პორტრეტები. ფოტო ბლოგის პოსტებზე ტექსტუალური მასალა დაყვანილ უნდა იქნას მინიმუმამდე.

ფოტოებს უნდა ქონდეს "ზუმის" გადიდების ფუნქცია

. პოდკასტი

პოდკასტში წარმოდგენილი იქნება ავტორების მიერ გახმოვანებული (წაკითხული) პოსტები. პოდკასტის თემატიკაც უნდა გამომდინარეობდეს საზოგადოების მაუწყებლის პრიორიტეტებში ჩამოთვლილი თემებიდან. პოდკასტის პერიოდიკაც განისაზღვრება ინდივიდიუალურად, ავტორებთან შეთანხმებით. არა უმცირეს ერთი პოდკასტი ერთი ავტორისგან თვის მანძილზე.

პოდკასტში წარმოჩენილი საინტერესო ავტორების მიერ მომზადებული პოსტები შესაძლოა ჩაეშვას რადიოს ბადეში რუბრიკებს (რადიო ბლოგის) სახით.

პოდკასტზე განთავსდება როგორც პოსტის ტექსტუალური მასალა, ასევე აუდიო მასალა პოსტის გაზიარებისა და ჩამოტვირთვის ფუნქციით

' ვლოგი

ვლოგზე განთავსდება ვლოგერთა მიერ მომზადებული ვიდეო პოსტები. ვლოგერთა თემატიკაც უნდა განისაზღვროს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებით

ბლოგების პლატფორმაა უნდა განთავსდეს რადიოს ვებ საიტზე. (ახლანდელი "წამყვანების" ლინკის ადგილზე. წამყვანების ლინკი და ჩანართი კი გამდოინაცვლებს გადაცემების ჩამონათვალის ქვემოდ

"ბლიგების" ლინკზე გადასვლის შემდეგ ჩამოიშლება ჩამონათვალი:

ბლოგი, ფოტო ბლოგი, პოდკასტი, ვლოგი.

თითოეული სეგმენტის ქვემოდ (ან გასწვრივ) უნდა ჩანდეს ამ კატეგორიაში არსებული უახლესი 4 პოსტი. ბლოგის გასწვრივ (ან ქვემოდ) 4 ახალი პოსტი და ასე შემდეგ

სეგმენზე ან კონკრეტულად პოსტზე გადასვლის შემდეგ უნდა გაიხსნას კონკრეტული პოსტი სადაც პოსტის სათაურის ქვემოდ ან გასწვრივ მითითებული იქნება ავტორის ინიციალები. მიცირე ზომის ხატულა და ავტორის მიერ ბლოგზე ან საიტზე დაწერილი

პოსტების რაოდენობა. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს ავტორის გვერდზე შესვლა სადაც განთავსებული იქნება მის მიერ გამოქვეყნებული პოსტები და მცირე ინფორმაცია ავტორის შესახებ.

ტექსტუალური მასალის გვერდით უნდა განთავსდეს ჩამონათვალი:

1. კონკრეტულ კატეგორიაში არსებული 5 უახლესი პოსტი

2. 5 ყველაზე პოპულარული პოსტი

პოსტის ქვემოდ კი (ჰორიზონტალზე) განთავსდეს ზემოთ ხსენებული პოსტის თეგებით გაერთიანებული კატეგორიის (თქვენ ასევე დაგაინტერესებთ) სადაც "გამოტანილი" იქნება შესაბამისი თემატიკის მქონე ყველა პოსტი ყველა კატეგორიიდან (ფოტო, ვლოგი, პოდკასტი)

ბლოგებს უნდა ქონდეს როგორც სოციალური ქსელების კომენტარების ასევე კომენტარები საკუთარი სისტემაც. შესაძლებელი უნდა იყოს გაზიარება სოციალურ ქსელებში.

დიზაინი უნდა იყოს სადა და მაქსიმალურად გასაგები მომხმარებლისთვის

რადიოს საიტზე განთავსებული ბლოგის კატეგორიების ბანერები უნდა განთავსდეს ტელევიზიის საიტზეც. საიდანაც მოხდება გადამისამართება

ავტორები:

ბლოგში განთავსებული პოსტების სარედაქციო პოლიტიკა უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე. გარდა ზემოთ აღებული ვალდებულებისა, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებშია გაწერილი, ავტორი იტოვებს უფლებას სუბიექტურად შეაფასოს კონკრეტული მოვლენა. თუმცა ამავდროულად არ უნდა დაარღვიოს ის ეთიკის ნორმები, რომლითაც ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი მაუწყებელი. არ უნდა შეიცავდეს პიროვნების დამამცირებელ, უფლება და ღირსება შემლახველ, რასისტულ, ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ განცხადებებს. ასევე ავტორი არ უნდა არღვევდეს სხვა ავტორის საავტორო უფლებებს.

კიდევ ერთხელ მინდა შევეხო მონიტორინგის სამსახურს. მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია მონიტორინგის სამსახური, ისევ დაუკომპლექტებელია. მინდა გითხრათ, რომ სატელევიზიო სტრატეგიის შექმნაში, კვლევების ანალიზზე დაყრდნობით დიდ როლს ითამაშებდა მონიტორინგის სამსახურიც და მინიმუმამდე დაიყვანდა პროგრამული პრიორიტეტებში დაშვებულ შეცდომებს.იმედია, ახალი 2017 წელი უფრო პრაგმატულ გათვლებზე იქნება ორიენტირებული და სატელევიზიო სტრატეგია სწორად იქნება გათვლილი. ამ კრიტიკული ნოტიდან მინდა გადავიდე ოპტიმისტურ განწყობაზე და მინდა მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი.

საზოგადოებრივი მაუწყებლობის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს
მონიტორინგის მონიტორი ომარ ბერიძე
14.12. 2016.